— სწორეთ!... იცი რა, ამითი არ გათავდება საქმე... მე ჩუმათ იმ ბრამინს დავედგენე უკან, შემეტეო, იმის სასლის წინ რა ანბავი იყო. ვერ შეგიძლიან წარმოიდგინო, რა ვნახე!... გევას სასლის ძაღლი სურა, იწვა ბრამინის კარების წინ მსესედ ზ არსეინად თებოდა... ეს საკვრველია!... რომ არ ეთქუათ რომ გიულაბი ზ მიწაური ცისეში დაჭერილები არიან, მაშინ ვიუიქრებდი, რომ ჩემი ტყვია იმათ მოსვედრიათ ზ ახლა ბრამინთანა რჩებიან მეთქი. როგორც გინდა იუიქრე, ზ აქ ერთი რაღაც საშინელი საიდუმლოება არის დაფარული.

— მეც შენთან სრულებით თანახმა ვარ, მაგრამ ჩუწნ ისევე ისე, არაფერი არა უნდა უთხრათ რა გევასა... ხომ არ გინახავს დღეს?

— ერთს მინუტს ვნახე... მე ვახვეწე იმას წიგნი ტრანკუბარიტგან მიღებული, ჩემის სიმაძრისაგან მიწერილი!... ეშმაკმა წაიღოს იმისი თავი. ეს ელჩები, მოსაბესრებელი ხალხნი არიან. მწერს რომ ჩქარა წავიდე ჯვარ დასაწერათ, თორემ ერმინიას სახელი წაუსდებო... თითქო აქ იმახედ უკეთესი საქმე არა მქონდეს!

— გამიგონე ედუარდ! საიდანაც იყოს ზ არა, თორმეტი ფიცხვერი უნდა ვიძოვნოთ.

— ჰო, ვიცი, გევახსნა ზღაღიშნათუხ?... ვიცი, ვიცი!... ეგ საქმე ადვილი არ გასლავთ!

— თითქმის შეუძლებელიც არის, მაგრამ უნდა ვიშოვნოთ!

— მაგის საშოვნელათ საჭირო არის თორმეტი ათასი ფრანკი, მერე გაქვს შენ ეგ ფული?

— რათ არის საჭირო? მე ვიდგა კი არ მინდა, უნდა თუთან მე მოგვლა ჰქონოდა გევახსნა.

— თორმეტი ფიცხვერი!.. ეშმაკმა წაიღოს იმითი თავი. აი საქორწილო საჩუქარი თუ არ დაგიშლია!.. მართალია, რაც ქვჭვანაა, ის ჩეჭვულებათ!.. ჰარიქში რომ ვეოფილუიებათ, ჰატარძალი მოითხოვდა, ან კანარეიკას, ან თუთიუშას, ან ჩიტსა რასამე... მაგრამ, ღუთის გულისათუხ, ამ საქმეს, რა შეეძლება აქვს, რომ არ ვიცი რა მოვაგვარო?

— მრთელი ჩემი ამგდო შენსგდ არის. შენ სომ ანგლიხანი ხარ: ღუთის გულისათუხ, მოიფიქრე, რა გქნა. მე მინდა ამ საქმისათუხ, ერთი რამ საფანჯის მკნაფსი, რომლითაც თავგეებს იჭერენ! ოჰ, ღმერთო ჩემო, რა მშუქწნიერი ქალია!... რომ მიბძნოს მოზოფება მრთელი სსჟა ჰ სსჟა ჰირუტეეებისა; წავაღ ჰ მოვართმევ... არა თუ თორმეტი ფიცხვერს!.. რა სახსენებელია!....

— ეგ აგრე არის, მაგრამ რომელსაც შენ ანობ რა სახსენებელიაო, მაგასგდ კი სცდები. ახ, ახლა ჩემი ბიძა ედმონდი აქა ეოფილიო!... ის ძალიან ოსტატი არის ამისთანაებში!

—სად არის ისა?

—მენსესტერში.

—თუ ბიძაშენი მენსესტერში არის, ჩემთვის რა სა-
რგებლობაა? ახლა სრული ჩემი იმედი შენზედ არის.

—გინდა მივწერ წიგნსა, რომ მოიგონოს რაღაც
გააკეთოს საფანჯი ფოცსვერების დასაჭერად?

—ოჰ, ღმერთო! სულ რასა სუძრობ?

—მოიცა! მოიცა!.. მე მგონია.. დიად სწორეთ!
მომეცემა აქა კარანდაში ღ ქაღალდი!.. ახ, ჩემი ბიძა რომ
უოფილიყო!.. მოიცა! შენ გეძნება თორმეტი ფოცსვერი
ღ მეცამეტეც აბრასავით... სწორეთ!.. მე ღირსეული
მშისწული ვარ ედმონდისა!... აი მოგონება, რომლისა-
თვსაც მივიღებ ქუჭნისაგან ჯილდოსა. უფრო გაბრი-
ელ, ეს სწორეთ ზირუტეების დასაჭერად კარგია, ეს არის
ეაფაზა; შიგ იჯდება კაცი, ამ ეაფაზას გარშემო ექნება
შუბები ღ ამ კაცს შეუძლიან შიგნიდან როგორცა სუ-
რს ისე მოიხმაროს ეს მკვეთელი შუბები. ფოცსვერები
მივლენ ღ უნდათ ეს კაცი როგორმე ამოითრიონ, მა-
გრამ ის შიგნიდან ადვილათ დასოცავს, თუნდა ოცსაცა.
იმას არა ევნება, რადგანც ეაფაზა იქნება მაგარის
რკინისა, რომლის გაკეთებაც შეუძლიან ერთს მჭედელს
მადრასში. იმას შეუძლიან ეს საფანჯი ექვს ღღეში გა-
აკეთოს, მაგრამ ჩუმათ კი უნდა წააღებინო ზაოსკით იქ,
სადაცა დიდი ჯოგი არის ფოცსვერებისა. მეც შენთან
ვიქნები ღ რასაკვრეელია დაგეხმარები, ამას გარდა, რომ
მოვიტეუოთ ეს ზირუტეები, ერთი ხარი დაგვლათ ღ

ეაფასასთან დაზავდოთ, იმის სუნსედ მრთელი ჯოგი მოს-
ქდება. მაგრამ თოფებიცაი უნდა ვიქონიოთ ამ ეაფასაში.

—შენ ედუარდ, იქნება კიდევცა სუმრობდე, უთხრა
გაბრიელმა ზე თან მხატვრობას უეუბრება. მაგრამ ჩემ
საუბედუროთ, შენ ვერ დაგისმარებ, ამისათვის რომ გვეას
უნდა შევფიცო, მარტო მე მამიკლასმს მეტი!

—მაინც შენ ერთი მოჰკლამ იმათა. მე მხოლოდ
საქმეს შესრულებასი მოგესმარები, თუ გევა მკითხავს,
ვეტევი, ამაღამ ფოცხვერების ბრძოლაშია მეტი, ნუ შენ-
წუსდებით, ეს იმისათვის უბრალო საქმე არის მეტი.

—მაშ, შევირთავ, კლერბს? რას იტევი, მართლაც
შევირთავ? რომელი ქალი დაუდგება წინ, ამ გვარად და-
მტკიცებულს სიუჟარულსა! ოჲ, განა შევირთავ გვეასა.
რა ნეტარებაა! მაგრამ, კლერბს, საუჟარელო ერთგულო
მეგობარო, ეს სულ კარგი, მაგრამ ამას ფული უნდა.

—დამშვიდდ. მე მაგ საქმესაც გავასწორებ, მივალ
მადრასში ზე მოვაგონებ ლორდ კრონვალისს, რომ ის
გვპირდებოდა შემწეობას, თუ გაჭირვება მოგვადგებოდა.
მივალ ვეტევი, რომ ლონდონითგან მივიღე მთავრობი-
საგან, მხატვრობა, ეს არის მიწის სახსნავი იარაღი, აქ
ძრიელ კარგათ აკეთებენ მეტი,—ამას გავაკეთებინებ,
შემდგომს გამოვთხოვ რამდენსამე თოფსა ნადირობისა-
თვის ზე საქმეც შესრულდება.

—ას, ედუარდ. შენ საკვრეელი კაცი ხარ. ძვირფასი
რამ!

—კარგი, კარგი! ქება მერე იეოს, ჯერ საქმე შევა-
სრულოთ.

— ჩემო სულო კლერბს, მაშ მალე წადი მადრასში.

— ახლავე. დღესვე, მაგრამ გეჰას არაფრისთანა არა უთხრა რა.

— სრულებით არაფერს!

— უნდა თავი ასე აჩვენო, რომ სწორეთ ზე ვაჟყავდი ხარ.

— ძალიან კარგი, მაგრამ მეშინიან, ვაი თუ ის შენი ნაქები მჭედელი იქ არ დაგხვდეს.

— ის ოცის წლის შემდგომია იქ იქნება, შენ ფიქრი ნუ გაქუხ.

ერთის საათის შემდგომს კლერბსი კიდევ მიდიოდა მადრასში. როდესაც გეჰამ იკითხა კლერბსი, გაბრიელმა უპასუხა, საქორწილოთ ემზადება ზე რაღაებისაც სასუი-დლათ წავიდაო.

— უფრო კარგი, სთქუა გეჰამ: გახსოვდეს უფალო გაბრიელ, ნუ იქნები ისე ქარიანი, როგორც ქარიანია, შენი მეგობარი.... კარგათ მომგონდა ზე, ის ჩემი ნათქუამი თორმეტი ფოცსეფერი ჯერ რომ არავის მოუტანია.

— ეე ამისათვის, რომ როგორც ეტეობა ინდოეთში ცოტანი ფოფილან მოტრფიალენი.... მე თუთან....

— კარგი ნულარ იტევი? კარგია!... რათ ანობთ აგრე დარწმუნებულის სმითა?... მე გიცნობ შენ ზე გიკრძალამ ჩაიღინო მაგისტანა უგუნურება. გიკრძალამ მაგისტანას სიგიჟეს, გესმის?

ამას რომ ეუბნებოდა, გეჰა უეურებდა გაბრიელს იმ დიმილით, რომელიცა უხატავს ქალს იმ სურვილს,

რომლითაც უნდა გაუმეგობრდეს, სოგჯერ სიუჟარულის მიხედვით, სოგჯერ ამისათვის რომ მარტობა მობესრებიან და დროს გასართობად. მაგრამ გაბრიელს მძუღობიანათ ეჭირა თავი.

მეორეს დღეს გაბრიელმა მიიღო კლეოპისისაგან ორი წიგნი; ერთი საიდუმლო, სოლო მეორე, რომლის ჩვენებაც შეიძლებოდა გეჰასი. საიდუმლო წიგნში ეწერა:

„ხვალ საღამოსედ ოთხ საათსედ, შენ მხოვებ მე, მრთელის იარაღით, დანიშნულს ალაგსა, ტბის ჩრდილოეთის მხრივ. როდესაც ხეებში, ავიშვირო მაღლა წითელი ბაიჩადი, იცოდე იქა ვარ და გელი. შენ მოდი ცხენით და მე შენის ცხენით წავალ გეჰასთან.“

მეორე წიგნში ეწერა:

„საუჟარელო მეგობარო“

„როგორც მივიღე ცნობა, ჩემი სასიძამრო ძრეულა ჯავრობს. ისა მწერს ივლისის თვე დადგაო, მართალიც არის, ივნისის თვე კიდევ გათავდა. ამასედ რაღა ზასუხი უნდა მივცე. ზასუხი ვერა მიეწერება.“

„ტინეგელის დედოფალს უთხარი, რომ მე იმის წინ დახოქილი ვარ.

„ნახვამდინ!

ედუარდ.“

გაბრიელმა ეს წიგნი გეჰას აჩვენა, რომელმაცა მოწვევით გაიღია.

—აი, კაცები როგორ სჯიან ცოლის შერთვაზედ! მაგრამ უფალი ედუარდი მე არ მამატეუებს, უთუოდ მადრასში აქუს ვისთანმე გულითადი კავშირი, დაისხოვეთ ჩემი სიტყვა, რომ ის ცოლს არ შეირთავს.

—მართლად ბ ბატონო, თქვენ მამაცონეთ. იქნება უფალმა ედუარდ კლერბსმა ცოლი არ შეირთოს. იმას იქნება მადრასში უეგარდეს ვინმე. მოდი ხვალ წავალ ბ შევაშინებ უცებ ჩემის მისვლით.

—მერე მალე დაბრუნდებით?

—ზეგა ბატონო, ისე რომ ერთს დღეს ველარა გნახავ. გეგამ მისცა კელი ბ გაუდიმა ისრეთის დიმილით, რომ გაბრიელს კინაღამ გული შეეწუსდა, სისარულისაგან, იმას ეგვენა, რომ ამ მშუტნიერს ქალს ის შეეწა-რდა.—

(დასრულება მერე იქნება.)

ლოჯიკოს დიდები.

გინდ მეძინოს მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავასელ ზედ წამწამსედ მიზიხარ.

უმასავითა მე ერთგული შენი ვარ,
გინდა მკლავდე არას გეტყვი შენი ვარ;
სადაც წასვალ, მეც მაშინვე იქა ვარ,
გინდ ვერ მნასო იცოდე რომ იქა ვარ.
რას გაწუხებ? მე ჩემთვის იქა ვარ,
ჩემთვის ჩუმათ ვანობი: რა ღამაში ხარ!

გინდ მეძინოს მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავასელ ზედ წამწამსედ მიზიხარ!

რტო აღვისა შენი წელი მგონია,
მაკ წელსედა ცის სარტყელა მგონია,
მე თვალეზი ცაში ელვა მგონია,
ვარდის სუნი შენი სუნთქვა მგონია.
როს მეღირსოს, ვსთქუა: გეთაყვა ჩემი ხარ!

გინდ მეძინოს.

ათი გზა მაქვს, ათივე შენგენ მოდის,
 ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის;
 მინდა რამ ვსთქუა, შენი სახელი მოდის,
 ჩემს გულში რა ანებია რა მოდის,
 ერთხელ მაინც მკითხე: აგრე რათა ხარ?

გინდ მეძინოს.

ჩემს დარდებსა ვინ ინაღვლის, ვინ არის?
 ვის რათ უნდა, ღოჭიანა ვინ არის?
 შეკადრია, თუ ცოცხალია, ვინ არის,
 ქუჭყანაში აბა რაა, ვინ არის?
 ვიცი ამას შენა არ მეტყვი, ნახი ხარ.

გინდ მეძინოს.

ორთაჭალის ბაღში მნახე ვინა ვარ!
 დარდიმანდის ღხინში მნახე ვინა ვარ!
 ჯამით ცოლუბაში მნახე ვინა ვარ!
 აბა მუშტის კრივში მნახე ვინა ვარ?
 მაშინ შეგეფარდე სთქუა ძვირფასი ხარ.

გინდ მეძინოს მაინც სულში მიზისარ,
 თვალით ავახელ ზედ წამწამზედ მიზისარ!

თ. გრიგოლ თრბელიანი.

კნენა მანანა ორბელიანის ფორტრეტსა.

სატრუოს ფორტრეტსა
ვჭვრეტ ვითა მზესა,
ჭმუნვარეს გულის განმანათლებლად.
მხატრობა ესე
შეენებით სავსე
მგსავსი თუ ოდენ ეოფილარს ძეგლად.
ოდესცა ვნახე
მის ტურფა სახე,
მეის განკვრევით ვიქმენ მოცული,
ღ ვით შეენიერს,
ზღანეტსა ციერს
ვსჭვრეტდი, შევიქმენ აღტაცებული!
იზიდავს გულსა,
მსხვერწლად გძღვნი სულსა.
ნუ თუ მადნიტი გქონან თუალებში.
ღ მისთჳს მარად
მეავ მონად მეარად
მადალ გონებით მჯობმა ქალებში.
უძანკო გული,
კეთილთ სრული
აღატრობის ეოველთ შენდა საქებლად,

გაქუს შესაფერი
 ეკ ნაზი ფერი,
 მოგნიჭებებს განსაშვენებლად.
 ხარ სრული გრძნობით,
 განსჯით ღ ცნობით,
 სამაკალითოდ წარმოდგენილი,
 ქცევა ქებული,
 გაქუს დიდებული,
 კშენის: ქალთ მეფად გეონ დადგენილი!

კნ. ეკატერინე ერისთავისა.

ლოცუა ტრფილისა.

I.

დმერთო გეაჯ, ფერნამკრთალი,
 გამიქრე სურვილის ალი,
 რადგან ამ ცეცხლს ვსედავ, წმიდად,
 წუად არს ჩემდა ნაწერწკალი!

შენ ლოცუას არ მისმენ ვგონებ,
 რომ ფიცხელს ჯაჭვს არ მიფონებ;
 სხუა არ მაქუს საშუალობა,
 მივეახლო მასვე მონებ!

სახე მისი სასოდ ჩემად
კრთოლავს, მაგზნობს, მიჩნს ედემად;
როს განვიცდი განმანათლებს,
დეღუაში გულს ვიკებ კემად.

მან არ იცის, მე თუ მისი
სახე, მიგის, ვით მაისი;
ვით ბუღბული ვარდს დავსარი;
ვით ზამთარი მზრავს მე ისი.

II

ა ლ ე რ ს ი.

მზეო მივი, მფინე სსივი,
დილით ძილით აღდგომილსა;
აგრე აგრე მომეფურქევი;
ვიმ მაგ ტურფა შენს დიმილსა!

თუალთ ალით ციალთ ისრად
ჰვენს მჭვრეტელთა სავალალოდ,
მისრად მის სრად, ჰსცემს რად, ის რად?
ბუღბულთ რაზმთა შესაბრალოდ.

დილის ცრემლი მონამული
ვარდსა, ნარდსა ღ იაზედ,
დეღავს, ეღავს, კრთოლავთ სრული,
ცისკარი ჰსჩანს მის წიადსედ!

აჭა, მწუჭლთა მათ ისართა
 გულს დაუდგამ კასაგანად;
 ცრემლთა მისთა მოსისხართა
 აღგზნებულს გონს მოსაგონად.

III

უ მ ა ნ კ ო ე ბ ა.

ვიხილე ვარდი მწუზალობდა, ცრემლითა გულ მქუ-
 სარობდა,
 ია თავ დასრილ მკრთალობდა, შრომანი ფერით მქრქა-
 ლობდა;
 სოსანი თრთვილით მზრალობდა, ღ სარო განიბმა-
 როდა,
 უმანკოება მათ შორის, მოუწყენელად სარობდა.

იგი მთუარობდა, ბადრობდა, ~~მ~~კრთოლუიდა, ნათლად
 დარობდა,
 ბროლის ველობდა, ~~მ~~სეობდა, მწუჭლობდა, მოელვარობდა;
 ანდამატობდა, მსხეობდა; მიმსვიდელობდა, სნეობდა,
 გალობდა, იადონობდა, კმატებილად მსმობარეობდა. —

ვით მარგალიტი სადაფით, აღმოკრთოლუითა საგებ-
 ლით,
 სმირინოზულად ღიმილით, განიშლებოდა დილდილით,
 დაცქრიალებდა სიცილით, დაკამკამებდა სირბილით,
 გვაქუნდეს სიცოცხლე ქადილით, ზეცის არსების ნაწი-
 ლით!

ზეცას აწს მისი სავანე; მისის ნათელს დავაგვანე,
 ღუთისა მადლსა დასდევს თანა, ქეჭენად კართოლვით
 მინაგვანე;
 მტრედობს, კრაობს, ანგელოზობს, ვით ერმა გქალად
 სნაკვანე,
 ერმა მწესარი მარადისი, ვერ ქსცვლის დროცა მამ-
 ხცოვანე,

წრფელსა გულსა ესტუმრების, გთჳსების შუქი წრფელი,
 ვარდ სამბასით ბოლ ღალს ფრქეცულს, მრავალ ფე-
 რად ჰკრთის ნათელი,
 ავნებენ მას ვერც მაცთურნი, ვერც სოფელი, ვერცა
 ბნელი;
 მსნედ ვალს უსაყუტლს ქეჭენას, წმიდად მქცევი, მა-
 ღლად მზმელი!
 თ. დავით მახაბელი.

ჩემი ბინა.

სადაც მთებია, იქ მეავს მოგვასი,
 სადაც ზღუა დელანვს, იქ მაქჳს სადგური;
 სადაც ბიბინებს ბალასი ხავსი,
 ხშირად ვარ იმის ერთგული მდგომერი.—

ფიალო კლდის წვერს, ვეოფილვარ სძირად,
 არწივთ ხმისათჳს უური მიწურია,
 ღ როს ჭქონიათ უბნობა ტბილად,
 ეს ღაწარბაჲი მე შემიტყვია.

ღამით ვჩვეულებარ ვარსკვლავთა მსურას,
 საშუალ ბურვილ ხშირისა ტვისა;
 ნას ბუღბუღების ტრფობითი მღერა,
 გულის საკლავადა ზედ დასჩენია.

იქ არის ჩემი მოუვასთა ბინა,
 სად ჯერ კაცთ ფეხი არ მოხვედრია,
 სად თრთის ბუნება თუთ იმის წინა,
 ვინც ამ ბუნების მრთლად გამჩენია.

რა არის კაცი, ან მათში ეოფა,
 ერთი მითხარით რის საქნელია,
 სადაც უუურებ ცილებს, გმობს,
 ოთხკუთხიუ ვეფლს, შენი მტერია!

ი. კერესელიძე.

7 დეკემბერს.

1870 წელსა.

ქ. ტფილისს.

ქართულის ჰეისის „მზის დაბნელების“ წარმოდგენა,
ქართულის თეატრის მოსიუკარულეთაგან ტფილისის
თეატრში, 28 დეკემბერს 1870 წელსა.—

ჩუჭნმა საზოგადოებამ მალე იცის, მოსწეინდება რაც
უნდა კაცის გამამხიარულებელი იუოს რამე საქმე; მა-
გრამ მალეც შეუარდება გული, თუ რომ ეს საქმე იმას
დროს აზრობინებს. ჩუჭნში რასაც რასმეს ახალს და-
ვიწუბთ, იმ ახალს დაწუბობილებას, დიდის გულს მო-
დგინებით მისცვივდებიან, მაგრამ სამწუხაროდ, მალე ბე-
ზრდებათ, რაც უნდა კარგი ღ კეთილი იუოს; რაც უნდა
სასარგებლო ღ უსარგებლო იუოს.—რა ჩუჭნი საზო-
გადოება: საზოგადოდ კაცის ბუნება ეს არის. ეველამ
კარგათ ვიცით, რომ ჰირველი განათლების მიზეზი არის,
ჰსწავლა,—რომლის საფუძველი არის სასწავლებელი;
მეორე კაცის გონების განათლებისათჳს, არის ჟურნალი,
ანუ გაზეთი, ხოლო მესამე თეატრი. ეს ორნი უკანას-
კნელნი დიდს საზრდოს აძლევენ კაცის გონებასა. რო-
მელს ქუჭყანამიაც ეს უკანასკნელი ორი საგანი განა-
თლებისა არ არსებობს, იქ ხალხის სიცოცხლე მკვდა-
რია. მაგრამ რომელი ქუჭყანა არის ახლა, რომ ეს

ორი საგანი არ მოიპოვებოდა; რომელი ქეზყანა არის ახლა ისეთი გონება დასშული, რომ სასწავლებელი არა ჰქონდეს დაწესებული და თუ სასწავლებელი აქვს დაწესებული, იქ ეს სასწავლებელი, უეჭველია ამ ორს საგანს დაჰბადავს, — ჟურნალს და თეატრს. — ჩვენ ქართულებს, მამაჩანათ დროს სადა ჰქონდათ ჟურნალები ან თეატრები. ეს ამისათვის რომ, არა ჰქონდათ სეირიანი სწავლა და სეირიანი სასწავლებლები. რიგიანი და საფუძვლიანი სასწავლებლები რომ ჰქონოდათ, ეს სასწავლებლები თუთანვე დაბადდნენ ამ ორს ხალხის დროს განმატარებელთა საგანთა. თუ კი ადრე ისეთის მშენებლის კალმით იწერებოდა თხზულებები, უფრო მეტი ნაწილი სადმართო ანბანები, განა კომიდიებს და დრამებს კი ვერ დასწერდნენ? უფრო მაშინდელს დროში, როდესაც რომ საქართველოში რაც რამ მოხდებოდა, სულ იყო ტრადიკური და დრამატიკური. უკეთესი დრო დრამებისათვის რომელი იქნებოდა!. დიად, დაწესდა თუ არა რიგიანი და საფუძვლიანი სასწავლებლები ჩვენს საქართველოში, ჩვენის დიდის რუსეთის კელმისის წყალობით, გამოეფინა თუ არა ჰსწავლა და ცნობათ მოეუარეობა ქართველებში, მაშინათვე სსუა განათლებასაც მიატანეს. — ჩვენ საბედნიეროთ იმ დროს შეგვხვდა განსვენებული ვარანცოვი, რომელმაც გაგვანდვინა და თითქმის ძალათი გამოგვიყვანა სამწერლო მეიდანზედ: გონების განვითარების მოსამატებლად დაგვიფუძნა თეატრი, ამას მოჰყვა ჟურნალი. თეატრს დიდი წარმატება ჰქონ-

და იმის დროს; იმის დრომ მოგვცა სსუათა შორის
ნიჭიერნი მწერალნი, ამ სათეატროს საქმეში დავე-
ლოვნებულები, ერთი ზურაბ ანტონოვი ზე მეორე თ.
გიორგი ერისთავი, რომელთა კომედიები დღესაც წარ-
მოსდებიან ზე არა ჰკარგავენ თავიანთ მნიშვნელობასა. —
მაგრამ ჩვენს სამწესართოდ, ძალე მობეზრდათ ქართვე-
ლებს, რა იყო მიზეზი? ჩვენს მიზეზსზედ აქ ვერას ვი-
ტყუით. მას აქეთ კარგა ხანი გავიდა, რომ ქართული
წარმოდგენა ისეთის ღირსებისა ვეღარა ეოფილა, რა
ღირსებითაც წარმოდგებოდა ხოლმე მაშინ. ახლა დი-
დად ესიამოვნა ეოველს ქართულს, როდესაც ამ დეკემ-
ბრის 28, წარმოადგინეს თეატრში, ანტონოვისგან დაწე-
რილი ჩინებული კომედია „მზის დაბნელება.“ ამ ზე-
სის წარმომადგენელნი იუვნენ კარგად დაველოვნებულნი
ზე კარგათაც მცოდნე ზიესების ღირსებისა, მამასადამე
წარმოდგენითაც კარგათ წარმოადგენდნენ; — თეატრი იყო
საყსე, ასე რომ წარმოდგენის დროს, აღარც ლოჟა ზე
აღარც კრესლა, აღარ იმოვებოდა, რაც უნდა დიდი ფასი
მიეცათ. ამას გარდა, — როდესაც წარმოდგენის დრო
მოვიდა, მოუთმენლობით შექნეს მაეურებელთა ტაშის
კვრა ზე დიდი ხმაურობა, ისე სულის-სისწრაფით უნ-
დოდათ ენახათ ის მოქმედნი ზირნი, რომელთაც მარ-
თლად ზე ჩინებულად წარმოადგინეს. — გაბედვით შევე-
ძლიანთ ვთქუათ, რომ თეატრის დაფუძნებითგან მოკი-
დებული, დღევანდლამდინ, ასე ჩინებულად ზიესა არ წარ-
მოდგენილა ქართულს ენაზედ. აქა ბმანდებოდა ჩვენნი

საუჭარელი დიდი მთავარი, კავკასიის მოადგილე, რომელმაც დიდათ ისიამოვნა ჩუჭნის ჩუჭულების ნახვით და ასე კარგათ წარმოდგენით. აი ვინ იყვნენ მოქმედნი ზირნი: გეურქა კარაზეტოვი, ძველი ვაჭარი,—უფ. კ. კოლუბანსკი; ცოლი ამისი რეუსიძე,—კნეინა ნინა ორბელიანისა; ქალი ამათი მარეს,—მეუღლე გენერალის ოკლობჟიოსი; დედა გეურქასი ნენე,—მეუღლე ამა-შუკელისა; ბიჭი გეურქასი სიმონიკა,—კნიაზი გ. აბაშიძე; მდგმური გეურქასი ჰორუჩიკი გრიგოლ ჩეშმაკოვი,—უფ. ნიკ. ენაკოლოფოვი; ნათლია გრიგოლისა მიკირტუმ მინასოვი,—კნიაზი გრ. ბეგთაბეგოვი; თავადი ინდო შარმანაძე,—უფ. გ. ენაკოლოფოვი; აზნაური ზაალ ჰინტრიშიძე,—კნიაზი გ. ორბელიანი; გლეხი ბერუა ლაზინაშვილი,—უფ. ტ. კვალიევი; რუსის ჩინოვნიკი,—კნიაზი ლ. ბეგთაბეგოვი; რუსის მუჟიკი გრიშა,—უფ. კ. გაბაევი; ცოლი ამისი ავდოთია,—მეუღლე ტრიშატნისა; გლეხი,—კნიაზი გ. ორბელიანი; ცოლი ამისი,—კნეინა ბ. ბარათოვისა; ტფილისის შარლატანები: ივანე,—კნიაზი დ. მაჟაევი; ვანო,—კნიაზი გ. ციციანოვი; დარჩო,—უფ. იაკობ იმნაძე და ვანო,—კნიაზი ლ. მელიქოვი; ფრანცუზი კნიაზი ვ. თარხანოვი; ნემეცი,—კნიაზი ნ. ხერხეულიძე და სხ.—

იმოდენა ხალხი, რომლით გაჭედული იყო რაიოკითგან მოკიდებული, ქვემოთ ზოლამდინ, შესცქერიდა, თუ როდის აისდებოდა ფარდა. როდესაც ჰირველი ზარის რეკა შემოგვესმა, სული განაბა იმოდენმა მაჟურებელმა.

აი, დარეკეს მეორედ, ასწიეს ფარდა ზე დაგინახეთ, სუ-
ფთად მოკასმული ოთახი, რომლის მარცხნივ მხარესედ
იდგა ტასტი მუთაქებით, ზედ იჯდა ნენე (ამაშუკელისა)
ღ ართავდა ტარსა, ეს ძველი მოხუცებული დედაკაცი;
ამის წინ დადიოდა მარეს (ოკლობეიოსი) ზ ანობდა
ლექს „გამიფრინდა სიცოცხლისა ფრინველი“—ამ ლექს
ისეთის მწუხარეს ხმით ანობდა, რომ ნამდვილად წარ-
მოუდგებოდა კაცს თვალ-წინ, თითქოს, მართლად სა-
უქარელი გაფრენიაო; მისრა-მოხრაც ისეთი ჰქონდა,
როგორც შეშენის ემაწვილს, გასათხოვარსა ქალსა,
ტრფიალებისგან შეზფრობილსა; ამ გასათხოვარი ქალის
ეოფაქცევა, არ მოსწონს ამის ბებიას ნენეს, რომელსაცა
ესმის ამისი ლექსები ზ დიდათა ჯავრობს როგორც ამ
ახალ დროსედ,—ისე თავის შვილის-შვილის ქცევასედ.
უკეთესის მოთხოვნილება აღარ შეიძლება, როგორც
ითამაშა ნენეს როლი, ამაშუკელისამ. მართლად ზ, იმის
მოქმედებამ გაგვაკვირვა; თითქოს სცენასედ დაბადებულა
ზ სცენასედვე აღზრდილაო; იმისი ბებრული ქცევა,
იმისი ლაპარაკი, იმისი მოხუცებულობისაგან ძალ გა-
მოღეული სიარული; სწორეთ ზ წარმოგვიდგენდა, ნამ-
დვილს სომხის ბებერს, რომელსაცა ეოველი ახალი
აკვირვებს, აჯავრებს, აცეცხლებს იქამდისინ, რომ მარესს
აგდებს ოთახითგან ზ არ არის რომ ცუდ სიტუქასაც
ჰკადრებს „შენ ღირფოვო.“ ამ დროს შემოუხტა, თა-
ვისი რძალი რეფსიმე (კნენა ნინო ორბელიანისა) ამან
კიდევ გადაამატა თავის წარმოდგენით, ამაშუკელისას;

იმისი გაკანასკნული და განწმკნული ოთახში შემოვარდნა, იმისი ჯავრობა, თუ როგორ გაბედა და ამისი ქალი მარეს ცუდად მოისყენია და ოთახითგან გამოაგდო. სიცილით მოკვდებოდა კაცი ისეთის გულმოსულობით იყო. ვერ იფიქრებდით, თუ ეს ანბავი არის სცენაზე და არა ნამდვილათ სომხის სახლშიო. — ამის შემდგომს გამოდიან სცენაზედ ორნი სომეხნი: გეურქა და მიკირტუმა, — ეს ორნი პირნი საკვრეველად იყვნენ ერთმანერთთან შეწყობილნი; — გეურქა, როგორც ბუნწი სომეხი, ჩინოვნიკების მტერი, ვაჭრების მოსიუჟარულე და ამაოდ მორწმუნე, — მიკირტუმა, ჩინოვნიკების პატივის მცემელი, ცოტა გონება გასწილი და ტუტუცობის არა დამჯერო, იერებისან ერთად; სახლის პატრონი გეურქა სულ იმას ღაპარაკობს, რომ მზე ბნელდებაო, ვეშაპები უნდა ჩამოვიდნენ და ქუჩეანასა ნთქამენ; მიკირტუმა მასხარათ იგდებს, ის სხუთ საგანზედ ელაპარაკება, იმისი დარდი სხუთ არის, ასე რომ ის ცდილობს ეგება გეურქამ თავისი ქალი მარეს, იმის ნათლულს აფიცარს გრიგოლ ჩემშაკოვს მისცეს და თავის ქონებაც მზითვად გაატანოს. — გეურქა ამასე დიდება ჯავრობს. გაურქას როლსა თამაშობდა უფ. კ. კოლუმბანსკი, ადრევე ნაქები სომხის როლში, რომელსაცა ეს როლი ბევრჯელ წარმოუდგენია და ეოველთჳს კარგათაც უთამაშნია, მაგრამ ახლა, ამ წარმოდგენაში, ეველას წარმოდგენილზედ გადაჭარბა; იმისი სომხური ქცევა, იმისი ღაპარაკი სომხურს კილოზედ, მართლად და ვერ გამოგარჩევინებთ

ნამდვილის სომხითგან. ერთი იმისი გამოსვლა ზ ხალხის ტაძის ცემა; ერთი იმისი გამოსვლა ზ ხალხში სიცილის შექნა. აი ღირსება უფ. კალუბანსკისა; საკვრეულად შესვდა ამ წარმოდგენაში, უფ. კალუბანსკის, თავისავე კვარი ტიპი, კნიაზი ბეგთაბეგოვი, რომელიცა არ ჩამოსვლია იმას არაფერში თამაშობის დროს. ისე ჩინებულად არდგენდა კნიაზი ბეგთაბეგოვი, რომ გაგვაკვირვა, ამისათვის უფრო, რომ ამ თეატრის სცენაზედ იმისი ნახვა ზირველია, ზ ამ ზირველშივე ასეთი საკვრეული ნიჭი გამოიჩინოს კაცმა, ეს დიდი საქმე არის. — ჩუტნი ზუბლიკა ძრიელ შესაროდა ამ წარმოდგენას, უფრო ამისათვის, რომ ასე დარჩეულნი მოქმედნი ზირნი თამაშობდნენ ზ ასე მშუტნივრად არდგენდნენ. — ჩუტნის კეთილს ზუბლიკას უფრო ის უეჭარს, რაც იმას აცინებს, ოღონდა კარგათ კი წარმოადგინოს; რაც სატრფიალო ზ მშდობიანი როლი არის, იმას მაგდენად უფრს არავინ ათხოვებს ზ ტაშსაც მაგდენი არავინ უკრავს. — მე ამას მოცახსენებთ მკითხველო გრიგოლ ჩუმაკოვის როლზედ, რომელსაცა არდგენდა უფ. ნ. ენაკოლოფოვი. ეს არდგენდა თავის როლს კარგათ, — რაც კი შეიძლებოდა. ამის ქცევა, ლაჰარაკი, ზ უოველივე მოქმედება, წარმოგვიდგენდა ემაწვილს კაცს, რომელსაცა უეჭარს თავისი საცოლო ზ, რომელსაცა არ აძლევენ. — კარგათ ითამაშა, მაგრამ მოაშეკეთ როლი, უმადური როლი არის! ჩუტნი არა გვეონია, ამასეჲდ უმეტესად სხუას ვისმეს წარმოედგინა.

ოჰ, ჩუწნი ინდო! სოფლელი თავადის შვილი, უსწავლელი ზე ადვილათ ჭორების დამჯერებელი; რომელსაცა ახალი არა მოსწონს რა, სულ ძველს დუდუკ-ზედ თამაშობს, სულ ძველს ეაღერსება, ეტრფიალება ზე იმ ძველში ჭბოვებს ნეტარებასა. ჩაცმული თავითგან ფეხამდინ ნამდვილად ქართულად, მაღალ-მაღალი, წამოსადგო, შესედვით დარბაისელი ზე შიგნითგან ფუჟე, მაგრამ იმისი დარბაისლური ლაპარაკი ზე ეოფაქცევა, მართლად ზე მოსაწონი არის, — ამ როლს არდგენდა, ადრიდგანვე ნაქები უფ. გ. ენაკოლოფოვი, რომელიცა თავისის სინამდვილით ბევრი განაკვირვა ზე თუთან ამ სტატიის დამწერმა ვერ დავიჯერე, თუ ის იყო უფ. გ. ენაკოლოფოვი, — მე ის მეგონა, ნამდვილად ინდო. აი რა არის, ბუნებითი ნიჭი კაცისათჳს! უფ. ენაკოლოფოვა ისე წარმოგვიდგინა ინდო, რომ მართლა ზე, ინდო იყო!.... ზაალ? ზაალ არის, ჩუწნში რომ იტვირთიან ცქვიტი ახნაურის შვილი, მაგრამ ისიც ისეთი ძველი კაცი, როგორც ინდო, მხოლოდ განსხვავება ამაშია, ინდო არის მშვიდი, წენარი, ხოლო ზაალ სწრაფი, როგორც ცეცხლის ნახერწყალი, მაგრამ ისიც ფუჟე, ამისათჳს რომ უბრალო რაღაც-რაღაცა ჭორებს მალე ჭეუება. ამას ამითი უფრო ამტკიცებს, რომ აქაო ზე მზე ბნელდებაო, ფულის სასესხებლად დარბის, საზრდო ჩავიტანო სარდაფშიო, ან იქნება მამიკედეს ვინმეო, სამარხათ მომინდებაო. ამ როლსა თამაშობდა ზე ჩინებულათაც კნიაზი გ. ორბელიანი, რობელმაცა ავ-

რეთვე კარგი ნიჭი გამოიჩინა. — ტფილისის შარლატანები? ამათ მრთელი ჰუბლიკა გააკვირვეს! მოქმედნი ზირნი იუვნენ: კნ. მუხავეი, კნ. ციციანოვი, კ. მაისუროვი, უფ. იმნაძე ჰ კნ. ლ. მელიქოვი. ამაზედ არც ერთზედ არ ითქმის, არა ეს კარგათ თამაშობდა, არა ესაო. ერთმა მეორეს გადააჭარბა; ამითი ტანში გრესა შარლატანურად, იმათი ლეკური დუდუკის სმაზედ, იმათი შარლატანური მიმოხვრა ჰ რომელი თქუას კაცმა; რომ არ შეიძლება გამოფთქათ კალმით იმათი თამაშობა; „სასრი მაროქნას“ ატარებდა ნემეცი, — კნიაზი ნ. ხერსეულიძე. ნამდვილი ნემეცი ეგონებოდა მნახველს, როდესაც სან ერთი შარლატანი ჩაჭყოფდა კელს ჰ სტაცებდა მაროქნას, უნდა ენახა კაცს, თუ როგორ ეფაფრებოდა ბოჩკას ჰ როგორ ემუქრებოდა, — სწორეთ სასაცილო იყო; რუსის ჩინოვნიკსა თამაშობდა კნ. ლ. ბეგთაბეგოვი. არც ეს ჩამორჩომა სხუეებს თამაშობაში, თავისის კარგათ წარმოდგენით ჰ, არცა ფრანცუზი, დურბინდის დამტარებელი კნიაზი თარხანოვი. რა კარგათ ითამაშა სიმონიკას როლი, კნიაზმა აბაშიძემ. არც ერთს ქართულს წარმოდგენაში, ასე კარგათ არც ერთს არ წარმოუდგენია იმერლის როლი. ისე ჩინებულად არდგენდა, რომ სამჯერ გამოუძახა ჰუბლიკამ. კიდევაც განვიმეორებთ რომ ასე ჩინებულათ ჯერ არ წარმომდგარა ქართული ჰიესა დაფუძნებითგან აქამომდენ. ჩუენ

ამას გაბედვით ვანობთ, ამისათვის რომ მრავალჯერ წარ-
 მოდგენას დავსწრებივართ და მრავალჯერ გამგებელიც
 უოფილა ამ სუსტის სტატის დამწერი ქართულის წარ-
 მოდგენისა. — ჩუენ აქ არას ვანობთ კენიან ბ. ბარბ-
 თოვისასე, რომელსაცა ეცვა ხევსურულათ და რომელ-
 იცა თამაშობდა გლეხ-კაცის ცოლის როლსა. ამისათვის
 რომ ამას არა ჰქონია თვალსაჩინი როლი; თუ შეიძ-
 ლება ვთქუათ რამე, მხოლოდ ამასე, რომ მართლად
 და ნამდვილი ხევსურის ქალის ტანისამოსი ეცვა და და-
 სდევდა თავის ქმარს გლეხ-კაცს, რომელსაცა ღვინით
 სავსე საღვინე ეჭირა და ითვრებოდა, იმ ახრით, მაინც
 მზე ბნელდება და ეგება ვერა გავიგორა მაინც ქუტუნის
 დაქცევისაო; ბარბაცებდა, ცოლს კლავი ეჭირა და იმა-
 გრებდა არ წაიქცესო. გლეხ-კაცის როლსა თამაშობდა
 კნ. გ. ორბელიანი, — როგორც ზირველს როლს, ასნა-
 ურისას თამაშობდა კარგათ, ისეც ამ როლსა თამაშო-
 ბდა, არა თუ კარგათ, თითქმის მრეელ კარგათაც. —
 ტრიშატის მეუღლემ წარმოადგინა მუჟიკის ცოლის რო-
 ლი, მრეელ კარგათ და უფრო კარგათ კი, იმის ქმარმა,
 ზგრეთვე მუჟიკმა. უფ. კ. გაბაევმა. რომ შევხედეთ, ამ
 ორთა სცენასედ გამოხუთ, გვეგონა სწორეთ რუსის
 მუჟიკები არიანო, მეტადრე როდესაც ვნახეთ დადიოდ-
 ნენ სიმღერით ხალხში და თან ლილიფარის თესლსა
 სჭამდნენ, როგორც მიღებული არის რუსის მუჟიკებში.
 კიდევ ვიტყვი და განვიმეორებთ რომ, ზუბლიკა მრეელ
 მხიარულად დარჩა და აღტაცებით შეჰყურებდა ამ ქარ-

თულს წარმოდგენასა. მეორე მოქმედების სცენა იყო დადგმული ჩინებულათ: ჰირ ბ ჰირ მთა, რომლის იქით, მოწმენდილს ცაზედ, გორისონტზედ მზე ლაზლანებდა ბ ემსადებოდა დასახნელებლად. მთაზედ ისხდნენ ქალაქის მოქეიფნი, სუფრა გაშლილი, ეანწებით ღვინოსა სვამდნენ ბ ეწეოდნენ ქეიფს, რა არის, მაინც მზე ბნელდება, ქეჭვანა იქცევა ბ უკანასკნელად მაინც ვიქეიფოთო. ცალ მხარეზედ გორაზედვე, იდგნენ ქალაქითგან გასული მაუურებლები, ჩადრიანი დედაკაცები ბ შეჭყურებდნენ მსის დაბნელებას; წინ იყო მინდორი, რომლის მარცხნივ მხარეზედ გამართული იყო მიკიტნის ღუქანი, წინ ეაფასა, რომელზედაც ეწეო ტიკით ღვინო, კვერცხი, ქათამი ბ ეველა სანოვაგე, იმის წინ იდგა ბოჩკა, ამ ბოჩკაზედ იჯდა, ქალაქის ჰაჟარნი, რომელსაცა გვერდით უსხდნენ ქალაქისავე ჰაჟარნები ბ ქეიფს ეწეოდნენ ამ ღუქნის წინ;—მიკიტნის როლსა თამაშობდა კნიაზი ზაქარია ენდრონიკაშვილი, მეტად ჩინებულათ; მეორეს მხარეზედ ისხდნენ აგრეთვე ქალაქის ბიჭები მინდვრათ, სუფრა გაშლილი, გვერდზედ მდღუდუკები ბ მღეროდნენ მშუწნიერს ლოთურს ლექსსა, კნიაზის გრიგოლ ორბელიანისას, „გინდ მეძინოს მაინც სულში მიზინარ, თვალთ ავასელ ზედ წამწამზედ მიზინარ.“—ზედ მინდორზედ ირეოდა ხალხი, სსჟა ბ სსჟა ამქრისა, ქალი თუ კაცი, რომელთ შუა დადიოდნენ კინტუები, ზოგი ატარებდა ვაძლსა, ზოგი რასა ბ ზოგი რას. სანასაობა სცენისა დიდებული რამ იყო, ბ ეს

უფრო აშვენებდა წარმოდგენასა. ამ წარმოდგენის მო-
თაოსნე ჰიზნი იუვენე სამნი: ერთი კეთილშობილთ წარ-
მომადგენელი კნ. თ. რევაზ ანდრონიკოვი მეორე კნ. იორებ
კოსტანტინეს-ძე ორბელიანიძე მესამე უფ. მი. ჯომარჯიძე,
რომელნიცა ეოვლის ღონის-ძიებითა ცდილობდნენ კა-
რგათ წარმოდგენილიყო. კნიაზმა რევაზ ანდრონიკოვმა
იმ ხარჯის გამო, რაც კასწია რეპეტიციების დროს,
რადგანც იმის სახელში იყო, წარმოდგენის შემდგომს,
ეს ამდენი მოქმედნი ჰიზნი თავის სახელში მიიწვია,
ვასშმად. აქ სსჭანიცა ბევრნი იუვენე მიწვეულნი, რო-
გორც ქალები, ისე კაცებიც, რომელთა შორის იუვენე
რამდენიმე ჰირველ ჰირთაგანიც. ახლა აქ შეიქნა მეტი
მხიარულება: ჰირველად იყო ლეკურის თამაშობა, მერე
ამას მოჰყვა ვასშამი; შუა ვასშამის დროს, როდესაც ჯერ
სადლეგრძელო არავისი არ დალეულიყო, წამოდგა
„ცისკრის“ რედაქტორი კერესელიძე და ამ ღამის შესა-
ხებ სთქუა რამდენიმე სიტყუა; აი რა თქუა:

„ნება მიბოძეთ ბატონებო მოგახსენოთ ორიოდ
სიტყუა შესახებ ამ ღამისა, რომელსაცა დიდი ეურად-
ღება მიაქცია ჩვენმა, არამცთუ ქართულს, — უცხო
ენის საზოგადოებამაც.“

„ვეელას კარგათ მოგახსენებათ, რომ ხალხის ეო-
ველ საქმეში წარმატება, დამოკიდებული არის მაღალის
წრის საზოგადოებაზედ, რომელსაცა აქუხს დიდი გავლენა
და დიდი მნიშვნელობა მდებალ ხალხზედ. მაშინ
მიდის წარმატებაში საქუჭენო საქმე, როდესაც რომ

მაღალი წრის საზოგადოება არის თავ გამოდებული ღ, როდესაც ის არ მიაქცევს ეურადღებას, როდესაც რომ ის ფიქრობს მხოლოდ თავის სარკებლობისათვის, მაშინ ეოველი საქმე წარმატებისა, მეჭდარია. ასეც ბატონებო ლიტერატურა გახლავსთ. როდესაც რომ მაღალის წრის ხალხსა ჰქონია დენილებადი სიტუვიერება, — მაშინ ეს სიტუვიერება ეოფილა მოკლული, ღ როდესაც მუარველობა ჰქონია, მაშინ გაჩადებული ღ დიდს წარმატებაში შესულა. ეოველივე ასეა ამ სოფლის დაუდგრომელს დელეაში!“

„რა მიზეზი ეოა რომ ადრე ჩეჭნ მამანაათ სიტუვიერებას ჰქონდა დიდი წარმატება; — რა ეოა მიზეზი, რომ გამოჩნდნენ მეელს დროში ჩინებულნი მწერლები? — ეს ის მიზეზი ეოა, რომ მაღალი წრის საზოგადოება მიხდევდა დიდის გულს მოდგინებით ამ უკეთილშობილესს საქეჭენო საგანსა; ეს ის მიზეზი ეოა, რომ თჳთან ჩეჭნი მეფენი ჩემულობდნენ მწერლობასა ღ ამლეგდნენ ნიჭიერთა, მწერლობის ნიმუშსა.“

„საქართუჭლოს ზოლიტიკურის გარემოების მეცვლის შემდგომს, ჩეჭნმა სიტუვიერებამ მიიძინა, — მიიძინა ექამდინ, მინამ აღმოჩნდებოდა საქართუჭლოში, ქართუჭლების მოტრფე ღ დიდი მოსიეჭარულე, განსვენებული კნიაზი ვარანცოვი. მოსვლა ეოა იმისი საქართუჭლოში ღ ხალხის წარმატებაში მიცემა. ის ეოა მიზეზი რომ გამეჭნეიერდა ჩეჭნი დედა-ქალაქი; ის ეოა მიზეზი ქართულის თეატრის დაფუძნებისა, ის ეოა

მოთაოსნე ჩუქნს სამშობლო ენაზედ სალიტერატურო ჟურნალის გამოცემისა ღ ის იუო მიზეზი, რომ მრავალთ უმრავლესთა საგანთა მიიღეს დიდი ამაღლება.“

„ვინ იფიქრებდა, ერთი უბრალო კაცის შვილი; შვილი ერთის საწყალის ღარიბის ღ ღატაკის კაცისა, უსწავლელი, არა ვითარსამე სასწავლებელში მეოფი, ამაღენის სამაგალითო ჰიესების მოსზველი, განსვენებული ზურაბ ანტონოვი წამოაფლებდა კელს კალამსა ღ ასე კაფიეთად გამოიტანდა ხალხის ცხოვრებითგან ნამდვილს სურათებსა. (მოუწვევტელი ტაშის კვრა) ამისი მიზეზი ნეტარ ხსენებული ვარანცოვი იუო. იმან ააღები-ნა ბევრს კალამი კელში; იმან განამხნევა ბევრი; იმან დიდი ღვაწლი დასდვა ჩუქნს საქართუჭლოს; იმან შექნა ბევრნი უსაკელონი, საკელოვანად; ის იუო მიზეზი, რომ მეუნიშნავნი ჰიონი, გამოსულნი სალიტერატურო ასპარეზზედ მწერლად, კიდევ გადაცვალებულნი, დღესაცა ჩუქნში სცხოვრებენ. ვინ ანობს რომ მეტადრია ვარანცოვი. არა, ის არ მომკუდარა; ისა სცხოვრებს ჩუქნში ღ დიდხანს იცოცხლებს; იცოცხლებს იქამდისინ, მინამდისინ ქართუჭლები საქართუჭლოში ილაპარაკებენ ქართულს ენაზედ.“

„დიაღ ბატონებო,—მაღალის წრის საზოგადოებითგან დაიწეობა ეოველი საქმის წარმატება, თუ მოიწადინა.“

„გამორდა თუ არა საქართუჭლოს ნეტარ ხსენებული ვარანცოვი, ჩუქნი თეატრის საქმეც მოიმალა;

თუმცა ზოგნი ერთნი მოსიუჟარულენი ცდილობდნენ კიდევ გაეროგებინათ რამე, მაგრამ ეს ცდა ტუეილი ღამათ იყო; იყო ამაო ამისათჳს, რომ მფარველი აღარავინ ეგულვებოდა. ჩუჭნი მაღალი წრის სასოგადოებაც გულგრილი შეიქნა, იმანაც გული აჭყარა...“

„ზირველად რომ წარმოადგინეს, ვარანცოვის სურვილით გაურა, მაშინ მოქმედნი ზირნი იყვნენ, ჩუჭნი საქართველოს თავადის-შვილების ზირველი ოჯახის შვილები. იმათ რიცხვში ერიო განსვენებული, დედათ სქესებში ნაქები ღ კანთქმული მანანა ორბელიანისა ღ კარგათ მოკესხენებათ, თუ როგორ შევხაროდით ღ ვეალერსებოდით ამ გვარსა ახალსა განათლების საუუძველსა. მას აქეთ არის თითქმის ოცი წელიწადი მეტი; ჩუჭნი მაღალი წრის სასოგადოება, როგორცა ვთქვით ახლა, ჩამოეცალა ამ ზნეობითს კეთილს საქმეს, —თუმცა შიგა ღ შიგ გამოდიოდნენ ემაწვილ კაცები კეთილშობილნი ღ იკლავდნენ სცენის მოსიუჟრულების წეურვილსა, მაგრამ დედათა სქესნი ახლოს არ ეკარებოდნენ ღ ეს საქმე მიდიოდა იბულებით.“

„როდესაც რომ დაგვარკეთ თითქმის იმედი, ღ როდესაც რომ თითქმის კიდევ გადაგვავიწყდა, უცებ გვესმის ქართულის ზიესის წადმოდგენა იმ ღირსებით, რა ღირსებითაც იყო წარმოდგენილი განსვენებულის ვარანცოვის დროს ღ ჩუჭნდა გასაოცებლად დედათა სქესში ვხედავთ თავადის შვილების ზირველის ოჯახის შვილებსა! ვის ღ რას უნდა მივაწეროთ, ეს ჩუჭნი ქალების

გამბედაობა, ჩუწნ ასე გვეგონია აქ, ამ გვარ საქმეში; საჭირო არის ერთისადაცარი ძალადის ხარისხის ზირისაგან თავს გამოდება. თუ ერთმა გამოჩენილმა ზირმა თავს გამოიდო, ეველა იმას მიჰუება: ამ შემთხვევაში ვხედავთ აქ, საქართველოში ზირველის გვარის ოჯახის შვილს, თავადის კოსტანტინე ორბელიანის ქალს ანასტასიას. ვინ არ შენიშნა, რომ ჩუწნი დარბაისელი ოჯახის ქალები ძალათი სცვივდებოდნენ სცენაზედ, რა არის არც ჩუწნ გამოვეჩივნეთო. ეს ამისათვის, რომ იქ ეგულებოდათ ანასტასია ოგლობეიოსი; იქ ეგულებოდათ ის დარბაისელი ოჯახის ქალი, რომელიცა დიდის გულ-მხურვალეობით აღასრულებდა ამ კეთილშობილურს სალიტერატურო საგანსა. ზატივი ზ დიდება ამ გვარის ზატიოსნურის ქცევისათვის; ზატივი ზ დიდება იმათ, რომელნიცა უშვენებდნენ მხარსა ზ, რომელნიცა სიხარულით აღსრულებდნენ თავიანთ ამ ღამის დანიშნულებასა. აქ არ უნდა დავივიწყო ბარათოვის ასული, მეუღლა უფლის ჯომარჯიძისა, რომელიცა მოუღალავათ ცდილობდა ამ წარმოდგენის შესრულებასა. უზატივ-ცემულებსო ბატონებო, დღეს თქუწნ აღმოიჩინეთ იმ გვარი გულის ძალა, რომელსაცა არ დავივიწებს ჩუწნი ლიტერატურა ზ გადასცემს შვილის-შვილს ამ დაუვიწყარს ჩუწნთვის 28 რიცხვს დეკემბრისას.“

„დღეს, ამ წარმოდგენაში ბძანდებოდა, ჩუწნი დიდი მსახარი, კავკასიის მოადგილე რომელსაცა მოესურვებინა ენასა ქართული წარმოდგენა. როგორც ეცნე-

ოდა ჩუქნის ჩუქულების ნახვით მეტად ისიამოვნა და აქედან ბევრი იმედი იბადება.“

„ჩუქნმა კეთილშობილთ წარმომადგენელმა, ბრწეინვალე კნიაზმა რევაზმა, დიდი სიკეთე დასდვა და დიდი შემწეობა აღმოუჩინა ამ შემთხვევას. ვინ არა ხელაუდა ამ ორი კვირის განმავლობაში თუ როგორ შრომას ეწეოდა, ოღონდა კი ჩუქნს საზოგადოებას ცოტაოდენი კეთილი რამ მიეცესო. ამან მოსცა თავისი სახლი რეპეტიციებისათვის, სადაცა რაც უნდა იეოს ხარჯიც მოუვიდოდა და, სადაცა მიიღებდა ხოლმე მონაწილე ჰირთა დიდის მხიარულებით. ამას ეწეოდნენ კვალად ორნი მღალის წოდებისანი: ერთი ბრწეინვალე კნიაზი, გენერალი იოსებ კოსტანტინიჩ ორბელიანი და მეორე გენერალივე უფალი მისეილ ჯომარჯიძე. ამათ და სხუთა კეთილშობილურ მოქმედებაზედ ჩუქნ თავის დროზედ მოველანარაკებით ჩუქნის „ცისკრის“ მკითხველებს და ახლა, მხოლოდ უნდა დავლიოთ სადღეგრძელო ამ დარბაისელთა ჰირთა. თავ და ჰირველად ღმერთმა ადღეგრძელოს, ჩუქნი წარმომადგენელი, ჩუქნი საზოგადოების დიდი იმედი, ბრწეინვალე კნიაზი რევაზ ანდრონიკაშვილი. — ურა!.....“

ამ სადღეგრძელოს მოსცა ხმა მრთელმა იქ მეოფმა საზოგადოებამ. ამის შემდგომს მიჰყვნენ სადღეგრძელოს შემდგომთა ჰირთა და ამ კვარად მხიარულად გათავდა ეს ღამე. — როგორც უური მოგვარით, ამ ღამეს, თეატრითგან დიდი ფული მოგროვებულა, ეს წარმო-

გენა იუო, სასარგებლოდ იმ შკოლებისა, რომელნიცა
 არიან ქალაქს ტფილისში გამართულები საწყალის დ
 შეუძლებელის ხალხისათჳს.— მაშასადამე ეს წარმოდგენა
 იუო, კეთილის საქმისათჳს.—

ბიძია დონიკი.

1870 წელსა.

29 დეკემბერს.

ქ. ტფილისს.

განცხადება.

—შკოლის უფროსებს და დედამებს ურჩევთ მოიზოგონ ახალად დაბეჭდილი საწერი რეკლამა. ამ რეკლამით, (რომელიც სურათებით არის შედგენილი) ემაწვილი ხალისიანათ ჰსწავლობს ქართულ წერასა.

ფასი არის ერთი შაურია. ისუიდება თბილისში ალადათოვის და ტერ-გრიქურიანცის წიგნის მაღაზინებში—ქუთაისში უ. სიმონ რომანხიძესთან, ჰრინცის სტამბაში)—თბილისს გარე მცხოვრებლებს შეუძლიანთ ფორტით მოითხოვონ ეს რეკლამები უ. ტერ-გრიქურიანცისაგან, არცრუნის ქარვასლაში. აქვე ისუიდება „კატა აწონა,“ ერთ შაურათ, ახალი სასაცილო კომედია.

—ვისაცა ჰსურს რომ იაფათ და კარგა, ისწავლოს ჭრანციხული ენა, შეუძლია მოიღაპარაკოს ახალგაზდა კაცთანა, რომელიც ჰარიჟიდგან მოსულა.

ორს ანუ მეტ ჰირსაც შეუძლიანთ ერთ დროსვე მიიღონ უროკები. ასე უფრო იაფათ დაუჯდება ვისაც ეძნელება.—ეს მასწავლებელი ასწავლის აგრეთვე ოჯახობაში და ჰანციონშიაც.

ადრესი შეიძლება შეიტყონ უ. ტერ-გრიქურიანცის წიგნის მაღაზიაში, არცრუნის ქარვასლაში და მარტორუხიანის სტამბაში, კუკიის ხიდზედ.

1871 წელსა :

„ცისკრის“ დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად თუ გაგზავნით, 8 მანეთი.

რედაქცია იმყოფება კუკიას, სიღზედ, მიწროვეის შენობაში, მარტირუზიანის სტამბაში. ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს ზ თავის დროსად არ მიერთოს, უმოწილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

„ცისკრის“ რედაქტორს ი. კერესელიძეს, ტფილისში.

Дозволено Цензурою 1871 г. 15 Января